

# აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისია

---

აბაშა. უჩა კაჭარავას N1. ტელ: 577 62 17 70

ელ. ფოსტა: [kuchuxidze.k@gmail.com](mailto:kuchuxidze.k@gmail.com)

- აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2018 წლის 22 იანვარი

## დღის წესრიგი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ

კომისიის თავმჯდომარე:

/ვ.კუჭუხიძე/

# ოქმიN-1

აბაშის მუნიციპალიტეტის განათლების,  
კულტურისა და სოციალურ საკითხთა კომისიის  
სხდომის

აბაშა

22 იანვარი 2018 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს სოციალური, განათლების  
და კულტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე კ. კუჭუხიძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ლეონტი ნადარეიშვილი,  
გიორგი კაჭარავა, ირაკლი ჭანტურია, ზურაბ ლომია, ბაჩუკი  
ქვილითაია, რევაზ ჩაჩავა.

## დღის წესრიგი

აბაშის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული  
მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის  
წესის დამტკიცების შესახებ

მომხს. კ. კუჭუხიძემ წარმოადგინა პროექტი აბაშის  
მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული  
მუნიციპალური სოციალური პროგრამებისა და დახმარების გაცემის  
წესის დამტკიცების შესახებ. პროექტი მოიცავს 15 პროგრამას.

პროგრამების მიზანია, აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება, სოციალურად დაუცველთა დახმარების სისტემის სრულყოფა, სოციალური დახმარების პრიორიტეტების და კრიტერიუმების გამოკვეთა, მოქალაქეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება.

1. მეორე მსოფლიო ომის, საქ. ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, სხვა სახ. ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე გარდაცვლილ ვეტერანთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

2. გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა.

3. მეორე მსოფლიო ომის, საქ. ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების მონაწილე ვეტერანების დახმარების პროგრამა.

4. შშმ ბავშვების(0-დან 18 წლის ასაკამდე).დახმარების პროგრამა.

5. მე-3 და მეტი ახალშობილი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა.

6. დედ-მამით ობოლი ბავშვების(0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.

7. მარჩენალდაკარგულ ბავშვთა(0-დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა.

8. მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა.

9. ასი წლის და ასზე უხნესი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა.

10. სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა(ხანძარი, ქარი, წყალდიდობა).

11.მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0- დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა.

12.ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა.

13.მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის(I ჯგუფის) მქონე პირების დახმარების პროგრამა.

14.დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა.

15.მზრუნველობამოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა.

აზრი გამოთქვას: ლეონტი ნადარეიშვილმა, ირაკლი ჭანტურიამ, ბაჩუკი ქვილითაიამ, ზურაბ ლომიამ. ბატონი ზურაბ ლომია დაინტერესდა თუ რა კრიტერიუმით ხდებოდა დახმარების გაცემის განსხვავება მეორე მსოფლიო ომის მონაწილესა და დანარჩენი ომის მონაწილეებზე. კითხვაზე ამომწურავი პასუხი იქნა გაცემული.

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეფასდეს დადებითად და საკრებულოს ბიუროს ეთხოვოს აღნიშნული საკითხი შეიტანოს საკრებულოს უახლესი სხდომის დღის წესრიგში.

კომისიის თავმჯდომარე:

/კ. კუჭუხიძე/.